



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

„რომანული ფილოლოგია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[დასკვნის წარმოდგენის თარიღი]

08.04.2024



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი მარიეტა

გვარი ჩიხლაძე



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	რომანული ფილოლოგია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე ²	მე-7
4	კვალიფიკაციის დასახელება	ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი; იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი; ესპანური ფილოლოგიის მაგისტრი.
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0231 ენის დაუფლება
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი ⁵	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის

¹დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

²ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



		გამზ. №1), კორპუსი V (ი. ჭავჭავაძის გამზ. № 36)
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული #183025; 16 თებერვალი 2023
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 14 თებერვალი
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი - 2024 წლის 14 თებერვალი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 14 თებერვალი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		



3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარულად, გარკვეული პერიოდულობით, ტარდებოდეს სწავლის შედეგების მონაცემთა შეგროვება და მათი ანალიზი, მათი შედეგები გაეცნოს დაინტერესებულ მხარეებს და გამოყენებულ იქნეს პროგრამების გასაფასურებლად და გასაუმჯობესებლად;
2. გადაიხედოს რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურაზე მიღების ზოგად პრინციპებთან და გადაიხედოს სასპეციალიზაციო ენის ჩაბარების დეტალები და პროცედურები.
3. რეკომენდებულია, შუალედური შეფასების (გამოცდის) შემდეგ პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს აქტიური უკუკავშირის საშუალება მიეცეთ, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განმავითარებელი შეფასების შესაბამისად;
4. რეკომენდებულია, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში გაწერილი დავალებების შეფასებები გაიწეროს დეტალურად, თითოეული ქულის მისაღებად საჭირო კრიტერიუმების მითითებით, რომ შეფასებები იყოს უფრო გამჭვირვალე.
5. განახლდეს და სტუდენტების საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული, მოქნილი გახდეს ელექტრონული სასწავლო ბაზა, სტუდენტის პორტალი - LMS-ი;
6. სტუდენტთა გამოკითხვებს მიეცეს პერიოდული და რეგულარული ხასიათი და შემუშავდეს საუკეთესო მექანიზმი, რათა სტუდენტთა ინტერესები, მათი კმაყოფილება ყოველსემესტრულად იკვლიონ და შემდგომ შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. ამასთან,

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



გამოკითხვები იყოს ანონიმური და კონფიდენციალურობის პრინციპებით განხორციელებადი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური, შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური, ახალი ბერძნული და რომანული ენების კლასტერში შემავალი რომანული ფილოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაიცა რეკომენდაციები. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ „რომანული ფილოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია მიღებული და შესრულებულია.

რჩევები⁸

7. სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსები სასწავლო გეგმაში სემესტრულად გაიწეროს (საფეხურის შესაბამისად, 8 სემესტრი ან 4 სემესტრი) რაც სტუდენტებს გაუადვილებს კურიკულუმში ორიენტაციას და არჩევანის გაკეთებას;
8. სასურველია პროგრამების შემუშავების და განვითარების პროცესში დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მეტი ჩართულობა;
9. სასურველია, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული სტუდენტთა მოსაზრებები პროგრამებში პრაქტიკის ელემენტის და სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების შესახებ;
10. სასურველია, ყურადღება მიექცეს განსაკუთრებულ შემთხვევებს, როცა ერთი აკადემიური პირი კითხულობს 10-ზე მეტ (11, 13, 14, 15, 17) სასწავლო კურსს, რაც არ არის სასურველი და დასაბალანსებელია, რომ აკადემიური პერსონალის დენადობის შემთხვევაში არ შეფერხდეს სასწავლო პროცესი;
11. სასურველია, თსუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი იყოს რომანული

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



- ფილოლოგიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების ცალკეულ სასწავლო კურსში აკადემიური პირების მიერ შედგენილი რიდერები;
12. სასურველია, პროგრამების შემუშავების პროცესში დაინერგოს გარე შეფასების, საუკეთესო უცხოური გამოცდილების გაანალიზებისა და გაზიარების პროცედურები და მექანიზმები;
 13. სასურველია, ბიუჯეტი კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ კლასტერულად, არამედ ცალ-ცალკე, პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით და მასში ინფორმაცია ასახული იყოს უფრო დეტალურად, რაც შესაძლებელს გახდის თითოეული პროგრამის ბიუჯეტის გაანალიზებას და ფინანსური მდგრადობის შეფასებას;
 14. სასურველის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო პროცესის განსახორციელებელი კორპუსების (თსუ-ის V, VIII კორპუსები) რეაბილიტაცია, უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; უნდა მოწესრიგდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა, აუდიტორიები უნდა აღიჭურვოს თანამედროვე საპრეზენტაციო ტექნიკით, რომ სასწავლო პროცესში შეფერხების გარეშე იქნეს გამოყენებული მულტი მედია და სხვა ტექნოლოგიები;
 15. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში დასაზუსტებელია ჩანაწერი „მსურველებმა დაადასტურონ ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე, სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით“, როცა პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის შეტანილი მეორე ენის კურსები;
 16. სასურველია, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მითითებული იყოს, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ასევე პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებათა

⁹საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



ფაკულტეტის კლასიკური, შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური, ახალი ბერძნული და რომანული ენების კლასტერში შემავალი რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაიცა რჩევები. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული რჩევათა უმეტესობა მიღებული და შესრულებულია. რამდენიმე რჩევასთან დაკავშირებით მოყვანილია გათვალისწინებული რჩევების სიტყვიერი აღწერილობა, მაგრამ არის წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები.

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება ¹³	1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაცია I ¹⁴	რეკომენდებულია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარულად, გარკვეული პერიოდულობით, ტარდებოდეს სწავლის შედეგების მონაცემთა შეგროვება და მათი ანალიზი, მათი შედეგები გაეცნოს დაინტერესებულ მხარეებს და გამოყენებულ იქნეს პროგრამების გასავითარებლად და გასაუმჯობესებლად.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია რეკომენდაციის შესაბამისად წარმოდგენილი „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებული სასწავლო გეგმა, პროგრამის შინაარსი და სწავლის შედეგების შეფასების რუკა გადამუშავებული და

¹⁰საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹²სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	დაზუსტებულია, პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია, ისევე როგორც კურიკულუმის-სასწავლო კურსები და მათი შედეგები, გაწერილია სწავლის შეფასების ფორმები და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების მიხედვით, დადგენილია პროცენტული ზღვრები სამიზნე ნიშნულებისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის აღწერაში ხაზგასმულია, რომ აღნიშნულ რეკომენდაციის განსახორციელებლად პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის შიდა მექანიზმები (საუნივერსიტეტო პოლიტიკის გათვალისწინებით წინასწარ შემუშავებული ფორმები, სისტემური და სისტემატური კვლევების საშუალებით მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. და ა.შ.). „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება პროგრამის ერთი ციკლის სასწავლო წლის დასასრულს, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის კვლევა შუალედურად ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს, პროგრამის მიერ შემუშავებული <i>სწავლის შედეგების შეფასების რუკის</i> მიხედვით. რუკაში თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სავალდებულო სასწავლო კურს(ებ)ი, რომლითაც ხდება კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევა დასახულ დონეზე. აღნიშნული რუკების მიხედვით ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემთა მონიტორინგი და მათი დადარება წინასწარგანსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან. რომანული ფილოლოგიის აკრედიტებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთი ციკლის მონაცემების შეგროვება დაიწყო პროგრამაზე კონტიგენტის მიღების სემესტრიდან – 2023 წლის შემოდგომის სემესტრიდან და გაგრძელდება პროგრამის კურსდამთავრებულთა პირველ გამოშვებამდე, სამიზნე ნიშნულების მიღწევის მაჩვენებლის საბოლოო შეფასება (შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა თუ ვერ შესრულდა) მოხდება პროგრამის I-IV სემესტრების სავალდებულო სასწავლო კურსების მონაცემებით, 2025 წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს.
მტკიცებულებ(ებ)ა	1. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სწავლის შედეგების შეფასების რუკა“ (დანართი 3).



	2. რომანული ფილოლოგიის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი №8 (10 ნოემბერი 2023), ოქმი №1 (18 იანვარი 2024) (დანართი 4).
--	--

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რჩევა ¹⁵ I; II	1. სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსები სასწავლო გეგმაში სემესტრულად გაიწეროს (საფეხურის შესაბამისად, 8 სემესტრი ან 4 სემესტრი) რაც სტუდენტებს გაუადვილებს კურიკულუმში ორიენტაციას და არჩევანის გაკეთებას. 2. სასურველის პროგრამების შემუშავების და განვითარების პროცესში დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მეტი ჩართულობა;
შეფასება	რჩევა I შესრულებულია რჩევის შესაბამისად „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ფიქსირდება თითოეული სასწავლო კურსის გამოცხადების სემესტრი (შემოდგომა ან გაზაფხული) და საჭიროების შემთხვევაში, მითითებულია კურსზე დაშვების წინაპირობა, რაც არეგულირებს პირველსემესტრელი მაგისტრანტისთვის კურსის დაძლევის სირთულეს; მსგავსი სისტემა ორიენტირებულია ხელი შეუწყოს მაგისტრანტთა მონაწილეობას სხვადასხვა გაცვლით პროგრამებსა თუ მობილობაში და მათ მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვას საკუთარი აკადემიური ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით. რჩევა II შესრულებულია

¹⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	რჩევის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, რომ რომანული ფილოლოგიის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების 2022 წლის რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში გათვალისწინებული იქნა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთ გამოკითხვისა და შრომის ბაზრის საფუძვლიანი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები, რომელიც შემდგომ აისახა საგანმანათლებლო პროგრამებში. მაგ. იტალიური და ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეიცვალა იტალიანისტიკითა და ესპანისტიკით და კურიკულუმები გაძლიერდა დარგის ისტორიულ-კულტურული ასპექტებით და პრაქტიკული კომპონენტებით. ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში დაემატა დარგობრივი ენისა და წერითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა გაძლიერდა კვლევის მეთოდებთან, თარგმნასთან, თარგმანის კრიტიკასთან, გამოყენებით ლინგვისტიკასთან, ლიტერატურის კომპარატივისტულ კვლევებთან დაკავშირებული სასწავლო კურსებითა და საკითხებით. შრომის ბაზრის ვრცელი დოკუმენტი მოწმობს აღნიშნული საკითხის საფუძვლიანად შესწავლას და შემდგომ მიღებული, გათვალისწინებული შედეგების ასახვას ახალი პროგრამის შემუშავებაში. ასევე, უნდა აღინიშნოს რომ ზემოთ მოყვანილი ორივე რჩევა კლასტერულია და იგი გაეცა კლასტერში შემავალი ყველა პროგრამისადმი.
მტკიცებულებ(ებ)ი	1. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი დამტკიცებულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე (18.02.2024 ოქმი №1) და თსუ აკადემიურ საბჭოზე (14/2024, 07. 02. 2024) (დანართი 1); 2. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ამსახველი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური, შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური, ახალი ბერძნული და რომანული ენების კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების შრომითი ბაზრის კვლევის დოკუმენტი



	(დანართი 5).
--	--------------

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შედეგების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია II	გადაიხედოს რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურაზე მიღების ზოგად პრინციპებთან და გადაიხედოს სასპეციალიზაციო ენის ჩაბარების დეტალები და პროცედურები
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია რეკომენდაციის შესაბამისად, პროგრამების აღწერაში დაკორექტირდა რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შემდეგი ფორმულირებით: • გამოცდა სპეციალობაში: ფრანგულ/იტალიურ /ესპანურ ენასა და ლიტერატურაში (იტალიური ენისა და ლიტერატურის და ესპანური ენისა და ლიტერატურის მოდულებზე სპეციალობის საგამოცდო პროგრამა ამოწმებს ესპანური და იტალიური ენების ფლობის B2 დონეს). აღნიშნულ რეკომენდაციას თან ახლავს საგამოცდო მაგალითები, სადაც დაზუსტებულია სპეციალობის გამოცდის ის საკითხები, რომელიც ასახავს სასპეციალიზაციო ესპანური და იტალიური ენების B2 დონეზე ფლობის დადასტურების აუცილებლობას: მოდულისთვის – იტალიური ენა და ლიტერატურა – სასპეციალიზაციო გამოცდა ჩატარდება იტალიურ ენაში, იტალიური ენის თეორიასა და ლიტერატურაში. საგამოცდო ბილეთი შედგება 4 საკითხისაგან. I საკითხი – იტალიური ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი ტესტი (B2 დონე), II საკითხი – თარგმანი იტალიურიდან ქართულად, III საკითხი – იტალიური ენის თეორიიდან, IV საკითხი – იტალიური ლიტერატურის ისტორიიდან. მოდულისთვის – ესპანური ენა და ლიტერატურა – სასპეციალიზაციო გამოცდა ჩატარდება ესპანურ ენაში,



	ესპანური ენის თეორიასა და ესპანური ლიტერატურის ისტორიაში. საგამოცდო ბილეთი შედგება 4 საკითხისაგან: ერთი საკითხი – ესპანური ენის თეორიიდან, მეორე საკითხი – ესპანური ლიტერატურის ისტორიიდან, მესამე საკითხი – ესე გარკვეულ თემაზე, მეოთხე საკითხი – ესპანური ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი ტესტი (B2 დონე)“.
რჩევა III, IV	1. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში დასაზუსტებელია ჩანაწერი „მსურველებმა დაადასტურონ ინგლისური/ გერმანული/ ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე, სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით“, როცა პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის შეტანილი მეორე ენის კურსები; 2. სასურველია, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მითითებული იყოს, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ასევე პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.
შეფასება	რჩევა III არ არის შესრულებული, რამდენად უნივერსიტეტი არ იღებს რჩევას, გამომდინარე იქიდან რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი აღწერითი განმარტების მიხედვით, „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის მიღების წინაპირობაში არსებული ჩანაწერი „უცხოური ენის ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით: ფრანგული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მოდულებზე ჩაბარების მსურველებმა უნდა დაადასტურონ ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე, ხოლო იტალიური ან ესპანური ფილოლოგიის მოდულზე ჩაბარების მსურველებმა - ინგლისური/ გერმანული/ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე, სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით“ გულისხმობს იმას,



რომ რომანული ფილოლოგიის იტალიური ენისა და ლიტერატურის და ესპანური ენისა და ლიტერატურის მოდულებზე ჩაბარების მსურველს, გარდა სასპეციალიზაციო გამოცდისა, რომელიც თეორიულ საკითხებთან ერთად მოიცავს მოდულის შესაბამის იტალიური ან ესპანური ენის B2 დონის გამოცდას, მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B1 დონეზე ჩაბარება, პროგრამის დამთავრებამდე კი, ამ ცოდნის B2 დონეზე გაუმჯობესება და დადასტურება. ცოდნის გასაუმჯობესებლად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს არჩევითი საგნის სტატუსით შესაბამისი უცხოური ენის (ინგლისური / გერმანული / ფრანგული) დაუფლების შესაძლებლობას ერთი ან ორი სემესტრის მანძილზე. უნივერსიტეტის პოზიცია ეყრდნობა იმას, რომ მსგავსი შეთავაზება პროგრამაში ასახულია 2011 წლიდან და არ შეცვლილა არც რეაქრედიტაციის პერიოდში.

რჩევა IV შესრულებულია

რჩევის შესაბამისად, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიღების წინაპირობაში მიეთითა მობილობით პროგრამაზე ჩარიცხვის წესი, რომელიც რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შემდეგი ფორმულირებით: „პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ასევე მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ასევე პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად“.

ასევე, დაზუსტდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების წესი შემდეგი ფორმულირებით: „უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის გარეშე ხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით“ და დაემატა ფრაზა: „რაც გულისხმობს ქართულენოვან პროგრამებზე ქართულის, როგორც



	უცხო/მეორე ენის ფლობის B2 დონის დადასტურებას გამოცდით“.
მტკიცებულებ(ებ)ა	1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განახლებული აღწერილობა, დამტკიცებული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე (18.02.2024 ოქმი №1) და თსუ აკადემიურ საბჭოზე (14/2024, 07. 02. 2024) (დანართი 1); 2. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია III, IV	1. რეკომენდებულია, შუალედური შეფასების (გამოცდის) შემდეგ პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს აქტიური უკუკავშირის საშუალება მიეცეთ, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განმავითარებელი შეფასების შესაბამისად; 2. რეკომენდებულია, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში გაწერილი დავალებების შეფასებები გაიწეროს დეტალურად, თითოეული ქულის მისაღებად საჭირო კრიტერიუმების მითითებით, რომ შეფასებები იყოს უფრო გამჭვირვალე.
შეფასება	რეკომენდაცია III შესრულებულია, რეკომენდაციის შესაბამისად და თსუ-ს დადგენილებით, საანგარიშო პერიოდში დაინერგა ახალი სისტემა, რომლის მიხედვით რომანული ფილოლოგიის მიმართულება (რომელიც ახორციელებს შედარებით მცირეკონტიგენტიან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს), სტუდენტთან განმავითარებელი უკუკავშირის დაბრუნების გაუმჯობესების მიზნით, ანონიმური შუალედური ნაშრომების შეფასების შემდეგ, თსუ-ს საგამოცდო ცენტრიდან გამოითხოვს სტუდენტთა შუალედურ



	ნაშრომებს და ინდივიდუალურად განიხილავს თითოეული სტუდენტის შეცდომებსა და განმავითარებელ მხარეებს. აღინიშნული რეკომენდაცია კლასტერულია და უნდა აღინიშნოს ის წინაპირობა, რომლის საფუძველზეც გაიცა რეკომენდაცია და თავად უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე, სემესტრის მანძილზე, ერთი შუალედური ანონიმური შეფასება ორგანიზებულია და წარიმართება თსუ საგამოცდო ცენტრის მიერ. დიდი სტუდენტური კონტიგენტის სასწავლო კურსების შემთხვევაში, კურსის ლექტორი მომდევნო სააუდიტორიო შეხვედრაზე განზოგადებული სახით ახდენს სტუდენტების მიერ დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზს და საგამოცდო ცენტრში დაცული შუალედური შეფასებისთვის შესრულებულ ნაწერებზე უკუკავშირი ტიპური შეცდომების გამოტანითა და ანალიზით შემოიფარგლება; როდესაც სამაგისტრო პროგრამებზე შუალედურ განმავითარებელ შეფასებებს წარმართავს კურსის ლექტორი, რომელიც მომდევნო საადუტორიო შეხვედრაზე ინდივიდუალურად გაანალიზებს თითოეული სტუდენტის მიერ დაშვებულ შეცდომებს და გასაუმჯობესებელ მხარეებს. რეკომენდაცია IV შესრულებულია რეკომენდაციის შესაბამისად გადაიხედა და განახლდა რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ის 4 სასწავლო კურსი, რომელთა სილაბუსებში არ იყო დეტალურად ჩაშლილი შეფასების სისტემები: • ფრანგულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შედარებითი ანალიზი; დარგობრივი თარგმანის სპეციფიკა; • ფრანგულ-ქართული ეკონომიკური და ბიზნეს ტერმინოლოგიის შედარებითი ანალიზი. დარგობრივი თარგმანის სპეციფიკა; • ფრანგულ-ქართული სოციო-პოლიტიკური და დიპლომატიური ტერმინოლოგიის შედარებითი ანალიზი; დარგობრივი თარგმანის სპეციფიკა;
--	---



	• თანმიმდევრული თარგმანი. ზემოთ ჩამოთვლილი კურსების სილაბუსებში (დანართი 2) სასწავლო კომპონენტის შეფასების რუბრიკები დეტალიზებულია და ქულობრივი ბიჯები ჩაშლილია სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.
მტკიცებულებ(ებ)ა	1. რომანული ფილოლოგიის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი №8 (10 ნოემბერი 2023), ოქმი №1 (18 იანვარი 2024) (დანართი 4). 2. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები (დანართი 2): • ფრანგულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შედარებითი ანალიზი; დარგობრივი თარგმანის სპეციფიკა; • ფრანგულ-ქართული ეკონომიკური და ბიზნეს ტერმინოლოგიის შედარებითი ანალიზი. დარგობრივი თარგმანის სპეციფიკა; • ფრანგულ-ქართული სოციო-პოლიტიკური და დიპლომატიური ტერმინოლოგიის შედარებითი ანალიზი; დარგობრივი თარგმანის სპეციფიკა • თანმიმდევრული თარგმანი დამტკიცებული რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამულ პაკეტში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე (18.02.2024 ოქმი №1) და თსუ აკადემიურ საბჭოზე (14/2024, 07. 02. 2024).

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია V, VI	V. განახლდეს და სტუდენტების საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული, მოქნილი გახდეს ელექტრონული სასწავლო ბაზა, სტუდენტის პორტალი - LMS-ი; VI. სტუდენტთა გამოკითხვებს მიეცეს პერიოდული და რეგულარული ხასიათი და შემუშავდეს საუკეთესო



	მექანიზმი, რათა სტუდენტთა ინტერესები, მათი კმაყოფილება ყოველსემესტრულად იკვლიონ და შემდგომ შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. ამასთან, გამოკითხვები იყოს ანონიმური და კონფიდენციალურობის პრინციპებით განხორციელებადი;
შეფასება	რეკომენდაცია V შესრულებულია რეკომენდაცია V კლასტერულია და მის შესაფასებლად საჭირო გახდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დისტანციური შეხვედრა, რათა შეგვესწავლა ახალი ელექტრონული ბაზა, სტუდენტის სპორტალი UNI.TSU.GE, რომელიც დაინერგა LMS.TSU.GE-ს ნაცვლად და რომელიც შექმნილია ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფით. დისტანციური შეხვედრის დრო, დაწესებულების თანამშრომელმა, აღნიშნა რომ LMS.TSU.GE საპილოტო ვერსია თსუ-ს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისთვის ფუნქციონირებს 2023/2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრიდან, ხოლო საბაკალავრო საგანმათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის იგი ხელმისაწვდომი გახდა 2023/2024 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრიდან. პროგრამას აქვს სამი მხარე: სტუდენტის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის. გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად ჩვენ შევამოწმეთ მხოლოდ სტუდენტის პორტალი. შეხვედრის დროს საშუალება გვქონდა დაგვედასტურებინა, რომ სტუდენტის პორტალი მუშაობს მცირე დროში და შეფერხების გარეშე; პლატფორმა არის სამენოვანი (ქართული, ინგლისური და რუსული) და ოპერაციულად უფრო სრულყოფილი და მრავალფუნქციურია. სასწავლო საგნების ელექტრონულ უწყისებს თან ახლავს გაუსის სქემა, რაც აადვილებს შედეგებისა და ნორმიდან გადაცდომების დამუშავებას. საგნის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტის შეფასება ჩაშლილია და სტუდენტს საშუალება აქვს შეამოწმოს საგნის შუალედური, სემესტრი ბოლოს კი კურსის საბოლოო შეფასება; პლატფორმის საშუალებით სტუდენტს შეუძლია განახორციელოს საგნის ლექტორთან



მიმოწერა და მიიღოს უკუკავშირი; ისარგებლოს სასწავლო რესურსით და გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია; აღნიშნული პლატფორმის საშუალებით სტუდენტი უნივერსიტეტიდან იღებს შეტყობინებს სხვადასხვა პროექტებზე, ღონისძიებებზე, გრანტებზე, პროფესიულ და აკადემიურ განვითარების კურსებზე, დასაქმებაზე ორიენტირებულ და სხვა მიმდინარე აქტივობებზე (შეტყობინებებს აქვს გაფილტვრის ფუნქცია).

ასევე, განვრცობილია სტუდენტის პერსონალური გვერდი, რომლის შევსება ნებაყოფლობითია და მასზე სტუდენტის მიერ განთავსებული ინფორმაცია უნივერსიტეტს ეხმარება სხვადასხვა მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებაში.

დამატებითი ინფორმაცია: თსუ-ს თანამშრომელმა პლატფორმის პრეზენტაციის დროს აღნიშნა, რომ სტუდენტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს პლატფორმის რუსულენოვან ვერსიასთან დაკავშირებით, რომელიც განკუთვნილია რუსულენოვანი პროგრამებისთვის. პლატფორმა პერიოდულად იხვეწება სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად.

რეკომენდაცია VI შესრულებულია,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართითა და პაროლით (marietta.chikhladze@iliauni.edu.ge) საშუალება მომეცა თავად გადამემოწმებინა, გაცემული რეკომენდაციის მიხედვით, თსუ-ს მიერ მოწოდებული ელექტრონული კითხვარები, რომელიც შედგენილია დარგობრივი და პროგრამული ინტერესებიდან გამომდინარე და საშუალებას იძლევა როგორც სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულთა ინტერესების ანონიმურ გამოკითხვას და კვლევას.

სტუდენტის კითხვარი შეიცავს შემდეგი სახის კითხვებს:

- პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი არჩევითი საგნები ითვალისწინებს თუ არა იმ საჭირო ცოდნისა და უნარების გადრმავებას, რაც მნიშვნელოვანია სპეციალობისთვის / მომავალში სტუდენტის დასაქმების და/ან სწავლის შემდგომ საფეხურზე



	გაგრძელებისთვის; - იყენებს თუ არა სტუდენტი პედაგოგთან /ლექტორთან საკონსულტაციო საათებს; - იღებს თუ არა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისგან უკუკავშირის შუალედურ შეფასებებში დაშვებული შეცდომების შესახებ; თუ იღებს უკუკავშირს, უნდა მიუთითოს რა ფორმით (შუალედური შეფასებებისა და დაშვებული შეცდომების განხილვა; კვირეული დავალებების განხილვა; ესეების, რეფერატების განხილვა; სტუდენტური კონფერენციების მოხსენებების მომზადებაში დახმარება და ა.შ.); - გააუმჯობესებდა თუ არა სასწავლო პროცესთან ან მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ კომუნიკაციის პროცესს აკადემიური პერსონალის მხრიდან და ა.შ. სტუდენტთა შემთხვევაში, გამოკითხვა ტარდება ყოველი სემესტრის დასასრულს. კითხვარი სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული ბაზით. პროცესი არის ნებაყოფლობითი. კურსდამთავრებულთა კითხვარი შეიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას და კითხვებს: - უნდა მიუთითოს თუ რომელი პროგრამა აქვს დასრულებული, რომელი საფეხური და რომელ წელს (თსუ-ს მიერ მოწოდებული კითხვარი შედგენილია რომანული ფილოლოგიისთვის); - რა ცვლილებებია საჭირო საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში, რათა თსუ-ს კურსდამთავრებული მეტად კონკურენტუნარიანი და მოთხოვნადი იყოს შრომის ბაზარზე; - შეაფასოს თუ რამდენად კმაყოფილია თსუ-ში მიღებული განათლებით და აშ. თანდართული კურსდამთავრებულთა კითხვარი შედგენილია რომანული ფილოლოგიის კურსდამთავრებულთათვის (ფრანგული ფილოლოგია, იტალიანისტიკა და ესპანისტიკა), რომელიც, რომანული ფილოლოგიის კათედრამ, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
--	--



	სამსახურთან თანამშრომლობით, პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების დადგენის მიზნით შეადგინა და დაგეგმა სტუდენტთა ყოველწლიური რაოდენობრივი გამოკითხვა.
რჩევა V	სასურველია, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული სტუდენტთა მოსაზრებები პროგრამებში პრაქტიკის ელემენტის და სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების შესახებ;
შეფასება	რჩევა V შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად, რამდენად აღნიშნული რჩევასთან მიმართებაში უნივერსიტეტის პოზიცია შემდეგია, რომ პროგრამების რეაკრედიტაციის პროცესში მაქსიმალურად მოხდა სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება და სასწავლო პროგრამების დასაქმების ბაზარზე მორგება, მათ შორის პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერება, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურზე. თსუ-ს პოზიციით, ეს კონკრეტული რჩევა, ეფუძნება ვიზიტის დროს ექსპერტებთან იმ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს, რომელთაც ჯერ არ ჰქონიათ სწავლის გამოცდილება ახალ რეაკრედიტებულ პროგრამებზე. შესაბამისად, მათი ექსპერტებთან გამოთქმული პოზიციები პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფისთვის უკვე იდენტიფიცირებული იყო პროგრამის მოდერნიზების პროცესში და შესაძლებლობის ფარგლებში მიღებული და გათვალისწინებულიც. ახალ რეაკრედიტებულ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობა სწავლების პროცესში გამოჩნდება უკვე შუალედური ანგარიშების დროს, როცა განახლებულ, მოდერნიზებულ პროგრამას დახურული ექნება ერთი ციკლი მაინც და ეყოლება ახალი პროგრამით კურსდამთავრებულთა გამოშვება.
მტკიცებულებ(ებ)ა	1. რომანული ფილოლოგიის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი №8 (10 ნოემბერი 2023), ოქმი №1 (18 იანვარი 2024) (დანართი 4); 2. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის



	განახლებული აღწერილობა და სასწავლო გეგმა, დამტკიცებული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე (18.02.2024 ოქმი №1) და თსუ აკადემიურ საბჭოზე (14/2024, 07. 02. 2024); 3. პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების დადგენის მიზნით სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები: https://forms.gle/AcUQR1NYFZuQo3SA8 https://forms.gle/5dpmzpkV36YzY6519 https://forms.gle/JkVfuQ7iKaEKtedb7
--	---

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1 ადამიანური რესურსი
რჩევა VI	სასურველია, ყურადღება მიექცეს განსაკუთრებულ შემთხვევებს, როცა ერთი აკადემიური პირი კითხულობს 10-ზე მეტ (11,13,14,15, 17) სასწავლო კურსს რაც არ არის სასურველი და დასაბალანსებელია, რომ აკადემიური პერსონალის დენადობის შემთხვევაში არ შეფერხდეს სასწავლო პროცესი;
შეფასება	რჩევა შესრულებულია იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის მეოთხე სტანდარტის 4.1 ქვესტანდარტზე ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევა კლასტერულია. რჩევის შესაბამისად, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა და 2023/2024 წლის აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური პერსონალის დატვირთვის დოკუმენტი მოწმობს, რომ სასწავლო კურსები რომანული ფილოლოგიის პროგრამის აკადემიურ პერსონალს შორის დაბალანსებულია. წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით, რომანული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი აკადემიურ პერსონალს მომზადებული აქვს 6-7 კურსი, რომელიც გადანაწილებულია აკადემიური წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებზე. თსუ-ს მოყვანილი არგუმენტირებული დოკუმენტაციის



	მიხედვით, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს სტუდენტთა მცირე კონტიგენტიან პროგრამას, რომელსაც ემსახურება 1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორის, 4 ასისტენტ პროფესორის აკადემიურ შტატზე აყვანილი პერსონალი. გარდა ამისა, პროგრამა ასევე იწვევს სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეულ პერსონალს. აღნიშნული რჩევა უშუალო კავშირშია თავად უნივერსიტეტის შიდა რეგულაციასთან, ვინაიდან თსუ თავის აკადემიურ პერსონალთან აფორმებს აფილირების ხელშეკრულებას. თსუ-ში მოქმედი აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესის და პირობების მიხედვით, ამა თუ იმ აკადემიური პროგრამის განმახორციელებელ კონკრეტულ აკადემიურ პერსონალს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მომზადებული ჰქონდეს 6-7-8 სასწავლო კურსი და მათი ყოველ სემესტრული დატვირთვები კი, აკადემიური თანამდებობისა და სახელფასო კატეგორიის მიხედვით, შეადგენს საშუალოდ 8, 10 ან 14 საკონტაქტო საათს კვირაში.
მტკიცებულებ(ებ)ა	1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა, დამტკიცებული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე (18.02.2024 ოქმი №1) და თსუ აკადემიურ საბჭოზე (14.2024, 07.02.2024); 2. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები (დანართი 6); 3. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის კათედრის აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვები საანგარიშო პერიოდში (დანართი 7); 4. თსუ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგია, ბრძანება



	05/03 07/03/2018 (დანართი 8-9); 5. თსუ საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი, თსუ აკად. საბჭოს დადგენილება 119/2018 (დანართი 8-9).
--	---

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4. მატერიალური რესურსი
რჩევა VII, VIII	• სასურველია, თსუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი იყოს რომანული ფილოლოგიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების ცალკეულ სასწავლო კურსში აკადემიური პირების მიერ შედგენილი რიდერები; • სასურველის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო პროცესის განსახორციელებელი კორპუსების (თსუ-ის V, VIII კორპუსები) რეაბილიტაცია, უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; უნდა მოწესრიგდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა, აუდიტორიები უნდა აღიჭურვოს თანამედროვე საპრეზენტაციო ტექნიკით, რომ სასწავლო პროცესში შეფერხების გარეშე იქნეს გამოყენებული მულტი მედია და სხვა ტექნოლოგიები;
შეფასება	ვერ შეფასდა რჩევა VII და VIII - რჩევა VII ვერ შეფასდა, რადგან ვერ შევძელი უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მუდლის პლატფორმაზე e-learning.tsu.ge შესვლა რათა შემესწავლა „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსებისთვის გაციფრებული და პლატფორმაზე ატვირთული მასალა. სისტემაში დარეგისტრირება და შესვლა შეიძლება მხოლოდ თსუ-ს მეილით. რაც შეეხება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ბიბლიოთეკისა და სამეცნიერო და საერთაშორისო



	ბაზებზე წვდომის ღირებულება, ზოგადია და პირდაპირ არ მიემართება კლასტერში შემავალ პროგრამებს. - ასევე ვერ შეფასდა რჩევა VIII დამამტკიცებელი დოკუმენტაციის არარსებობის გამო. აღნიშნული რჩევის შეფასება მოითხოვს დაწესებულებაში ფიზიკური ვიზიტის განხორციელებას ან დოკუმენტაციას წარმოდგენას (მაგ. შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან მიღება-ჩაბარებით ოქმი), რომელიც დაამოწმებს უნივერსიტეტის მიერ აღწერილ ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვას ან გადაცემას (პროექტორი, კედლის დასაკეცი დაფა), ისევე როგორც წიგნად ფონდის (სამეცნიერო ლიტერატურა და სახელმძღვანელოები) რომანული ფილოლოგიის კათედრისთვის (თსუ, V კორპუსი).
მტკიცებულებ(ებ)ა	1. თსუ რექტორის ჯაბა სამუშიასა და კანცლერის მოადგილის გიორგი შამათავას განცხადებები, თსუ ვებგვერდზე სიახლეების რუბრიკა, 05/02/2024; 2. მუდლის პლატფორმაზე e-learning. tsu.ge განთავსებული კლასიკური, შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური, ახალი ბერძნული და რომანული ენების კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონული სასწავლო კურსები. https://e-learning.tsu.ge/course/index.php?categoryid=210 3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი: https://www.tsu.ge/ka/library 5. უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი: http://www.sciencelib.ge/ 6. საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა
სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა



კომპონენტის დასახელება	4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამისფინანსური მდგრადობა
რჩევა IX	სასურველია, ბიუჯეტი კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ კლასტერულად, არამედ ცალ-ცალკევ, პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით და მასში ინფორმაცია ასახული იყოს უფრო დეტალურად, რაც შესაძლებელს გახდის თითოეული პროგრამის ბიუჯეტის გაანალიზებას და ფინანსური მდგრადობის შეფასებას;
შეფასება	ვერ შეფასდა რჩევა IX წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვერ შეფასდა აღნიშნული რჩევა, ვინაიდან უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ორი დოკუმენტაცია: 1) შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებში განხორციელებული ფილოლოგიური პროფილის მიზნობრივი-სამეცნიერო პროექტები სტუდენტთა ჩართულობა (დანართი 9-10) და 2) Erasmus + გაცვლით პროგრამებში კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებლები საანგარიშო პერიოდში (დანართი 9-10) ვერ იძლევა ამის საშუალებას.
მტკიცებულებ(ებ)ა	1. შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებში განხორციელებული ფილოლოგიური პროფილის მიზნობრივი-სამეცნიერო პროექტები სტუდენტთა ჩართულობით (დანართი 9-10) 2. Erasmus + გაცვლით პროგრამებში კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებლები საანგარიშო პერიოდში (დანართი 9-10).

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.2. გარე ხარისხის შეფასება
რჩევა X	სასურველია, პროგრამების შემუშავების პროცესში დაინერგოს გარე შეფასების, საუკეთესო უცხოური



	გამოცდილების გაანალიზებისა და გაზიარების პროცედურები და მექანიზმები;
შეფასება	ვერ შეფასდა რჩევა X წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა ზემოთ აღნიშნული რჩევის შეფასების საშუალებას. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული აღწერა საუბრობს „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამების შემუშავების პროცესში ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების გაანალიზებასა და ქართულ რეალობასთან მორგების საფუძველზე, მაგრამ არ არის წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მტკიცებულებაში თანდართული რომანული ფილოლოგიის სოციალური გვერდი (<i>ფეისბუქ</i> გვერდი) მოწმობს რომანული კათედრის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობას, მაგრამ იგი არ ადასტურებს ზემოთ მოყვანილ რჩევას. ამასთანვე, თსუ-ს მიერ წარმოდგენილ აღწერაში აღნიშნულია, რომ რომანული ფილოლოგიის კათედრამ, უცხოური გამოცდილების დანერგვის და განხორციელების მიზნით, საანგარიშო პერიოდში წამოიწყო არაერთი მოლაპარაკება ევროპის უნივერსიტეტებთან, რომელთა შორის არის ლილის უნივერსიტეტი (ერთობლივი საერთაშორისო მულტიდისციპლინური კონფერენცია, სტუდენტთა და პროფესორთა გაცვლითი პროგრამები), ბეზანსონის უნივერსიტეტი (ტუტორიუმი), საარლენდის უნივერსიტეტი (კვლევითი და მეთოდური გამოცდილების გაზიარება და მომავალი თანამშრომლობის დაგეგმვა), OIF (სტუდენტთა სტაჟირება და პრაქტიკული კომპონენტების რეალურ ჩარჩოში რეალიზაცია), ფრანგული ენის მასწავლებელთა ასოციაცია (მეთოდური კომპონენტის გადაცემის დამუშავება სასკოლო და საუნივერსიტეტო პრაქტიკის გაზიარების თავლსაზრისით, ბორდოს უნივერსიტეტი (აკადემიური სტაფის და სტუდენტური გაცვლითი პროგრამები), ტუმას უნივერსიტეტი (ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით). ამ შემთხვევაშიც არ არის წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები.



მტკიცებულებ(ებ)ა	1. თსუ რომანული ფილოლოგიის კათედრის ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/TSUFRENCHPHILOLOGY
------------------	--

თანდართული დოკუმენტაცია¹⁶

1. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა და სასწავლო გეგმა (20 გვ.)

2. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები:

□ ფრანგულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შედარებითი ანალიზი; დარგობრივი თარგმანის სპეციფიკა (13 გვ.)

□ ფრანგულ-ქართული ეკონომიკური და ბიზნეს ტერმინოლოგიის შედარებითი ანალიზი. დარგობრივი თარგმანის სპეციფიკა (15 გვ.)

□ ფრანგულ-ქართული სოციო-პოლიტიკური და დიპლომატიური ტერმინოლოგიის შედარებითი ანალიზი; დარგობრივი თარგმანის სპეციფიკა (16 გვ.)

□ თანმიმდევრული თარგმანი (16 გვ.)

3. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სწავლის შედეგების შეფასების რუკა“ (17 გვ.).

4. რომანული ფილოლოგიის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი N 8 (10 ნოემბერი 2023), ოქმი N 1 (18 იანვარი 2024) (6 გვ.).

5. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ამსახველი თსუ ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური, შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური, ახალი ბერძნული და რომანული ენების კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების შრომითი ბაზრის კვლევის დოკუმენტი (125 გვ.).

6. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები;

¹⁶თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა



7. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის კათედრის აკადემიური

პერსონალის სემესტრული დატვირთვები საანგარიშო პერიოდში.

8. თსუ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის

სარეკომენდაციო მეთოდოლოგია (ბრძანება 05/03 07/03/2018);

9. თსუ საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი (თსუ აკად. საბჭოს დადგენილება 119/2018).

10. შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სასწავლოსამეცნიერო ინსტიტუტებში განხორციელებული ფილოლოგიური პროფილის მიზნობრივისამეცნიერო პროექტები სტუდენტთა ჩართულობით;

11. Erasmus + გაცვლით პროგრამებში კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებლები საანგარიშო პერიოდში.

ექსპერტის ხელმოწერა